საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

სპმთპ

,,ძლიერ პროფკავშირს ქმნიან პიროვნულად თავისუფალი პიროვნებები"

VIII საანგარიშო ყრილობა

19 ნოემბერი 2016 წელი

Education International
განათლების
ინტერნაციონალი

ETUCE CSEE
EUROPEAN TRADE UNION
COMMITTEE FOR EDUCATION
ევროპის პროფკავშირების
განათლების კომიტეტი

GTUC

ძვირფასო კოლეგებო!

პროფკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება.

სპმთპ-ის VIII საანგარიშო ყრილობაზე, ორგანიზაციის სრულყოფისა და პოპულარიზაციის მიზნით, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ მომავლი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები.

2014 წლის VII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სპმთპ-ის ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა განვლილ პერიოდში ნაყოფიერად იშრომა. გვაქვს სერიოზული წარმატებები და წინსვლა დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვის მიმართულებით.

მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად და ორგანიზაციის განვითარებისათვის.

ძლიერი საზოგადეობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ განათლებული მოქალაქების აღზრდით, ამდენად, მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია. მიგვაჩნია, რომ მეტი ინვესტიცია უნდა ჩაიდოს პედაგოგთა მხარდასაჭერ პროგრამებში. მასწავლებლის დაფასებისა და პროფესიის პრესტიჟის ამაღლებისათვის აუცილებელია, მასწავლებლების უზრუნველყოფა ღირსეული სამუშაო პირობებით, უნდა ამაღლდეს ნდობა მათდამი და დამკვიდრდეს პროფესიული ავტონომიურობა/აკადემიური თავისუფლება.

ძვირფასო დელეგატებო, იმედს გამოვთქვამ, აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ ჩვენი ორგანიზაციის გაძლიერების საქმეში. მთავარია, ვიყოთ ერთგულები პროფკავშირული იდეებისადმი და გულწრფელები პროფკავშირის ღირებულებების მიმართ.

,,ძლიერ პროფკავშირებს ქმნიან პიროვნულად თავისუფალი დასაქმებულები“.

ვიყოთ თამამები, ღიად ვისაუბროთ არსებულ პრობლემებზე და პრინციპულად მოვითხოვოთ მათი გადაწყვეტა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმდინარე კონსტრუქციული, სოციალური დიალოგი გვაძლევს შესაძლებლობას

ავამაღლოთ პროფკავშირის როლი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

თქვენგან ველით, ახალ იდეებსა და წინადადებებს, კრიტიკულ შენიშვნებს გაწეული მუშაობის შესახებ, რომლის ანალიზის საფუძველზე ერთად დავსახავთ ახალ პრიორიტეტებს, მომავალი განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

სპმთპ-ის პრეზიდენტი მაია კობახიძე

2010-2012 წლების გამოწვევები

ხელისუფლების უხეში ჩარევა და ზეწოლა პროფკავშირებზე.
2010 წლის ივნისში, სპმთპ-ის წევრთა სურვილისა და ნების გარეშე, სპმთპ-ის ანგარიშებზე შეწყდა საწევრო ანარიცხების გადმორიცხვა

ორგანიზაციის ძირითადი მიზანი იყო დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

2011-2012 წლებში, მხოლოდ 2000-მდე პროფკავშირის წევრი იხდიდა საწევროს ბანკის მეშვეობით, დამსაქმებელთა გვერდის ავლით;

2013-2014 წლები - ორგანიზაციის აღდგენა-რეაბილიტაცია

მიმდინარეობდა საქმიანობა
ორი მიმართულებით:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთათვის პროფკავშირის წევრობის ჩამორთმეული უფლების დაბრუნება
- ხელისუფლების მიერ შელახული პროფკავშირის ავტორიტეტის აღდგენა.

2014-2016
სპმთპ-ის ორგანიზაციული განვითარება და გაძლიერება

სპმთპ-ის 2014 წლის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობამ, გზავნილით-

,,დაცული უფლებები და ღირსეული შრომითი პირობები ხარისხიანი განათლების საწინდარია”-
განსაზღვრა

ორგანიზაციის შემდგომი განვითარების ძირითადი პრიორიტეტები:

- განათლების სფეროში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვა;
- განათლების სფეროში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა;
- მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება;
- ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება;
- დემოკრატიული მართვის პრინციპების შემდგომი განვითარება-გადაწყვეტილების მიღების პროცესში წევრთა ჩართულობა;
- სათაო/რეგიონალური ოფისების მუშაკთა და ხელმძღვანელ პირთა რეგულარული შეხვედრებისა და ტრენინგების მექანიზმების აქტიური დანერგვა;
- სოციალური დიალოგის მექანიზმების გაძლიერება

ორგანიზაციული წარმომადგენლობა და სტრუქტურული გაძლიერება

2016 წლისათვის,
სპმთპ აერთიანებს
65 სტრუქტურულ ერთეულს:

- *54 რაიონული ორგანიზაცია*
- *3 საქალაქო ორგანიზაცია*
- *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკური საბჭოს 6 ორგანიზაცია;*
- *2 უნივერსიტეტი.*





პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია შექმნილია 2007 საგანმანათლებლო დაწესებულებაში:
-1248 საჯარო და 26 კერძო სკოლაში

2014 წელი სპმთპ-მა გამოაცხადა სკოლამდელი დაწესებულებების წელიწადად. აქტიურად დავიწყეთ მუშაობა საბავშვო ბაგა-ბაღებში პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების აღდგენისათვის.

- პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია შექმნილია 731 საბავშვო ბაგა-ბაღში.
- პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია ფუნქციონირებს აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

2010-2016 წლების სპმთპ-ის წევრთა სტატისტიკის დინამიკა



	*2014-2016 წლებში სპმთპ-ის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 7865 -ით.*

დასაქმებულთა შრომითი და სამართლებრივი უფლებები

სპმთპ-ის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა პედაგოგთა შრომითი ხელშეკრულებების ვადების საკითხი. საჯარო სკოლებიდან პედაგოგთა გათავისუფლების საფუძველი უმეტეს შემთხვევაში იყო მოკლევადიანი -1 წლიანი შრომითი კონტრაქტის ვადის ამოწურვა.

- *ჩვენი აქტიური მუშაობის შედეგად, 2015 წლიდან წარსულს ჩაბარდა, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველზე, პედაგოგთა უკანონო გათავისუფლება.*

2014 წელს, საქართველოს საჯარო სკოლებიდან უკანონოდ გათავისუფლდა 6 პედაგოგი, ხოლო 4 აღმზრდელ-პედაგოგი საბავშვო ბაგა-ბაღებში. აგრეთვე, 3-მა პედაგოგმა ვერ ისარგებმა კანონით განსაზღვრული დაუბეგრავი მინიმუმით. პედაგოგებისა და აღმზრდელების უფლებებს და ინტერესებს სპმთპ იცავდა სასამართლოებში. ყველა პროცესი დასრულდა პედაგოგთა სამსახურში აღდგენითა და მათი ინტერესების დაკმაყოფილებით, დაწესებულებებს დაეკისრათ სავალდებულო განაცდურის ანაზღაურება და გაუცემელი დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება, რამაც ჯამში შეადგინა 16 766 ლარი.	მიმდინარეობს მუშაობა, ,,საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 126/ნ ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით: • 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირებს შრომის ანაზღაურება უნდა მიეცეთ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისად; • მასწავლებელს სტატუსის დანამატის სრული ოდენობა უნდა მიეცეს იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში შესაბამის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნებისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ დანამატის სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.
სპმთპ განვლილი ორი წლის მანძილზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აყენებდა ინიციატივებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, ცვლილებების განხორციელების პროცესში.	სპმთპ-ის იურიდიულმა დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილ სპეციალურ კომისიაში, რომელმაც შეიმუშავა მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესახებ ბრძანების პროექტი.

უკანასკნელ 2 წელიწადში, სპმთპ-ის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა დაახლოებით **120-ზე მეტი განცხადება,** ამავე პერიოდში, მოამზადა **110-მდე წერილი,** გასცემდა სატელეფონო კონსულტაციებს და ემსახურებოდა წევრებს ინდივიდუალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

2015-2016 წლებში სპმთპ აქტიურად ჩაერთო ,,სკოლამდელი აღზრდისა და განათლების“ შესახებ კანონპროექტის განხილვის პროცესში.
ჩვენი ინიციატივით კანონპროექტს დაემატა მე-**10 მუხლი** (მე-3 პუნქტი, ,,თ”ქვეპუნქტი), რომლის თანახმად მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან დაამტკიცონ სკოლამდელი აღზრდის **,,დაწესებულებებში დასაქმებულ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობები პროფესიულ კავშირთან შესაძლო კონსულტაციით”.**
მიმდინარე წლის მაისში, კანონი მიიღო საქართველოს პარლამენტმა და იგი ამოქმედდება 2017 წლის აპრილიდან.

ზრუნვა განათლების სფეროში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებისათვის

ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემაში. **,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“** ახალი სქემის პროექტის შემუშავების მიზნით, 2015 წლის თებერვალში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომლის ფუნქცია და შემადგენლობა განისაზღვრა პრემიერ-მინისტრის ბრძანებით. სპმთპ-ის პრეზიდენტი სახელმწიფო კომისიის წევრია და ჩვენ მიერ წარდგენილი წინადადებების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია კომისიის მიერ.



*სპმთპ-ის წევრებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, დავაფუძნეთ **,,საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრი“.** ცენტრში მუშაობენ კვალიფიციური ტრენერები. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ განხორციელდა 371 ტრენინგი,*

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 11 000-ზე მეტმა პედაგოგმა, 58 მუნიციპალიტეტიდან.

227 საგნობრივი ტრენინგი,

144 ტრენინგი გაკვეთილის დაგეგმვის, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის, მოსწავლეთა შეფასების მოდულით და სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთათვის პროფესიული განვითარების ტრენინგები.

დემოკრატიული მართვის პრინციპების შემდგომი განვითარება

სპმთპ რეგულარულად ახორციელებს სათაო, რეგიონალური ოფისების მუშაკთა და რაიონული/საქალაქო ორგანიზაციების ლიდერთა შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზებას, რისი საშუალებითაც შესაძლებელია განახლებული ინფორმაციის ინტენსიური მიწოდება სტრუქტურული ერთეულებისათვის, ინფორმაციის გაცვლა, მიმდინარე აქტუალური საკითხების განხილვა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება.

2015 წლის იანვარში, ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, ჩატარდა სპმთპ-ის რაიონული/საქალაქო/ავტონომიური რესპუბლიკური ორგანიზაციების ლიდერთა ორი სემინარი.	სპმთპ–ის ლიდერებთან პროფკავშირული საქმიანობის სრულყოფის, მეთოდური და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით, 2015 წლის 18–19 სექტემბერს წყნეთის სასწავლო ბაზაზე და 2016 წლის 14–15 ოქტომბერს დაბა ურეკში, გაიმართა სამუშაო შეხვედრები. შეიქმნა პროფკავშირის საქმიანობის მეთოდოლოგიური და საინფორმაციო მასალები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში წევრთა ჩართულობა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმდინარე კონსტრუქციული დიალოგის პროცესში პედაგოგთა ჩართლობის მიზნით, სპმთპ-მა დანერგა საგნობრივი დისციპლინების მიხედვით, პედაგოგთა ფართომასშტაბიანი კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა რეგიონიდან სპმთპ-ის წევრმა მასწავლებლებმა.

2016 წლის აპრილში ჩატარდა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების პედაგოგთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს საჯარო სკოლების 600-მდე პედაგოგი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილეს საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე, ახალი საგნის ,,მე და საზოგადოების“ შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი და სტანდარტის პროექტი. კონფერენციაზე მასწავლებლებმა შეიმუშავეს მიმართვა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის სახელზე.	მეორე კონფერენცია, 2016 წლის ივნისში, მიეძღვნა **საბუნებისმეტყველო და ისტ-ის საგნების პედაგოგებს,** რასაც დაესწრო 850-მდე მასწავლებელი. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ და მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურიმა. **ორივე კონფერენცია წარიმართა დისკუსიის ფორმატში, სადაც პედაგოგებს თავისუფალ გარემოში მიეცათ შესაძლებლობა, ესაუბრათ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და სწავლა-სწავლების აქტუალურ საკითხებზე.**

2016 წლის 13 ივლისს, სპმთპ-ის წყნეთის სასწავლო ბაზაზე, ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის სპმთპ-ის წევრი საჯარო სკოლების, 70-მდე პედაგოგმა მონაწილე-

ობა მიიღო სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების გრიფის მინიჭების წესის პროექტის განხილვაში. აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია წარადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის სასკოლო სახელმძღვანელობის გრიფირებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს წარმომადგენლებმა. შეხვედრის მიზანი იყო პრაქტიკოსი მასწავლებლების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. მასწავლებლებმა გამოთქვეს პრაქტიკული მოსაზრებები და წინადადებები საგნობრივ სახელმძღვანელოებში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება

მასწავლებლის კვალიფიკაციის, სოციალური სტატუსის, ავტორიტეტისა და პროფესიის პრესტიჟის ამაღლების თემებზე, სპმთპ–ის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო თოქ–შოუებში, დისკუსიებსა და რადიო გადაცემებში:

• ტელეკომპანია ,,მაესტრო" – ,,კვირის კონტაქტი'' • ტელეკომპანია ,,ობიექტივი“ – ,,რეფორმის კვალდაკვალ“ • ტელედისკუსია "სტუდია რე" • ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“ – "სხვა შუადღე" • აჭარის ტელევიზია – ,,პარადიგმა"	• ტელეკომპანია ,,კავკასია" – ,,ბარიერი" • საზოგადოებრივი მაუწყებელი – ,,დილის გადაცემა“ • ტელეკომპანია ,,იბერია“ • ,,რადიო თავისუფლება“ – "დილის საუბრები" • ტელეკომპანია ,,მაესტრო" – ,,კონტაქტი 8 " • ტელეკომპანია ,,მაესტრო“ – "საქმიანი დილა"

სპმთპ–ის პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია "იმედის" გადაცემა "იმედის გმირების" დაჯილდოვების ცერემონიალში. მაია კობახიძემ, ,,იმედის გმირებში” გამარჯვებულ ორ პედაგოგს **,,პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“** გადასცა მადლობის სიგელები და ფულადი საჩუქრები.

წარმატებული მასწავლებლების გამოვლენის და მათი საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით, სპმთპ-მა შეიმუშავა წარმატებული პედაგოგების შესარჩევი კრიტერიუმები.

2016 წლის 1 ოქტომბერს, სპმთპ-ის ინიციატივითა და ორგანიზებით, გაიმართა მასწავლებლთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, გზავნილით ,,მასწავლებელთა დაფასება, მათი სტატუსის ამაღლებისათვის”. ღონისძიებაში მონაწილობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მინისტრის მოადგილემ და 500-ზე მეტმა წარმატებულმა პედაგოგმა.	სპმთპ-მა მადლობის სიგელები გადასცა იმ პედაგოგებს, რომელთა მოსწავლეებმაც გაიმარჯვეს სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში, კონკურსებსა და კონფერენციებში, მიიღეს უმაღლესი შეფასებები სასკოლო-საატესტატო და ეროვნულ გამოცდებზე.

დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

სპმთპ-მა, 2014 წლის თებერვალში, წერილობით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, საჯარო სკოლის პედაგოგთა საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდის მოთხოვნით, რასაც მიეძღვნა 30-მდე საჯარო გამოსვლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. 2014 წლის დეკემბერში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს, სპმთპ-მა 17 000-მდე პედაგოგის ხელმოწერით მიმართა საქართველოს პარლამენტს, მოთხოვნით: **„პედაგოგის ხელფასი გაიზარდოს ეტაპობრივად, იმ გათვლებით, რომ 3 წლის მანძილზე იგი გაუთანაბრდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს“.**

- 2015-2016 სასწავლო წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდა განხორციელდა 2 ეტაპად. საბაზო ხელფასი გაიზარდა 33 %-ით, ხოლო საკვალიფიკაციო დანამატი - 140 %-ით.

საჯარო სკოლის პედაგოგებს დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება მიეცემათ თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად და არა სრული ხელფასიდან. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან განხორციელებული მოლაპარაკებების შედეგად დაიწყო აღნიშნული საკითხის მოწესრიგება.

სპმთპ ინტენსიურად მიმართავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მძიმე დაავადების მქონე პედაგოგთა იმ სახის მკურნალობისა და ოპერაციების დაფინანსების თაობაზე, რასაც საყოველთაო დაზღვევა არ ითვალისწინებს.

19 პედაგოგის დახმარების თაობაზე, სპმთპ-მა სარეკომენდაციო წერილებით მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დედაქალაქის მერიას. მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სულ დაფინანსებამ შეადგინა 120 000 ლარზე მეტი.

- მასწავლებლის ოპერაციისთვის საჭირო თანხის 70% დაფინანსდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით, დარჩენილი 30%, სპმთპ-ის შუამდგომლობით, უზრუნველყო გლდანის რაიონის გამგეობამ.
- პედაგოგის გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, სპმთპ-მა შუამდგომლობით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას ოჯახისათვის გაზიფიცირებისა და ელექტროენერგიის შეყვანის თაობაზე. გამგებლის გადაწყვეტილებით, ოჯახში სრულიად უფასოდ შეყვანილი იქნა ელექტოენერგია და გაზი.
- სპმთპ-ის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარისათვის, ძვირადღირებული, გადაუდებელი ოპერაციის დაფინანსების მიზნით, სპმთპ-ის შუამდგომლობის საფუძველზე, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოყო 7 000 $ და დედაქალაქის მერიამ - 40 000 ლარი.

სოციალური და საქველმოქმედო აქციები

სპმთპ-ის სტრუქტურული ერთეულები, ბოლო ორი წლის განმავლობაში, აქტიურად აღნიშნავენ ქალთა საერთაშორისო და დედის დღეს, რომლის მიზანია ღვაწლმოსილი, მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობელი პედაგოგების, ასევე, იმ მასწავლებლების დაფასება, რომელთა ოჯახის წევრები დაიღუპნენ ტერიტორიული მთლიანობისათვის.

აქცია ,, ჩვენც დავბერდებით” 2015 წლის 30 აპრილს, სპმთპ-ის სამგორის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, სამგორის რაიონის საჯარო სკოლებმა და სკოლამდელმა დაწესებულებებმა გულითადი დამოკიდებულება გამოხატეს შემოწირულობების სახით, მიუსაფარ მოხუცებულთა სახლის ,,კათარზისის” ბენეფიციარების მიმართ. თბილისის 152-ე საჯარო სკოლაში გაიმართა საქვემლოქმედო კონცერტი, გზავნილით ,,დაე, ადამიანურმა სიქველემ, ყურადღებამ და სიკეთემ გაუხანგრძლივოს სიცოცხლე ხანდაზმულებს” . ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ ,,კათარზისის'' ბენეფიციარები, სამგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წარმომდგენლები. ბენეფიციარებს მრავალფეროვანი ნობათი გადაეცათ. სპმთპ -ის რაიონული სტრუქტურული ერთეულები, ქვეყნის მასშტაბით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, აქტიურად ახორციელებდნენ მსგავს ღონისძიებებს, რაც საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარებას უწყობს ხელს.	**პედაგოგებმა 1 ივნისი ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს მიულოცეს!** ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენლები, მ. იაშვილის კლინიკის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს ესტუმრნენ. 2016 წლის 30 აპრილს სპმთპ-ის სამგორის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელშეწყობით, გაიმართა საქველმოქმედო აქცია - კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამგორის რაიონის საჯარო სკოლების მასწავლებლებმა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზდელებმა. საქველმოქმედო აქციას მხარი დაუჭირეს და მასში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის ნაძალადევის, ისნის, საბურთალოს და დიდუბე–ჩუღურეთის საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგებმა. საქველმოქმედო ღონისძიებიდან შემოსული თანხა 5 500 ლარი, წიგნები და ტკბილეული გადაეცათ კლინიკის 29 ბენეფიციარ ბავშვს.

2016 წლის 27 ოქტომბერს, სპმთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით, ,,ქალთა ასოციაციასთან” ერთად, ჩატარდა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი მე-11 კლასის მოსწავლის ძვირადღირებული ოპერაციის დაფინანსების ხელშეწყობისათვის, დევიზით ,,სიკეთე გადამდებია” .

საგანმანათლებლო–შემეცნებითი ღონისძიებები

სპმთპ-ისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული, რევაზ სირაძის სახელობის ,,რუსთაველის კლუბის” ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ჩატარდა

- ღირსეული პიროვნების, მეცნიერის, ბატონ გრივერ ფარულავას 80 წლის იუბილე –,,კვალი ნათელი“;
- შეხვედრა ანბანთმცოდნე რამაზ პატარიძესთან თემაზე: "ქართული დამწერლობა, ქართული წელთაღრიცხვა, ქართული კალენდარი";
- ლალი დათაშვილის წიგნის - „ოლამი ქართულ ლიტერატურაში“ პრეზენტაცია;

- ლიტერატურის მკვლევარის, ბატონ რევაზ სირაძის გახსენების საღამო;
- შეხვედრა გია ალიბეგაშვილთან – ,,საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“;

2016 წლის 30 მაისს, რესპუბლიკური კონკურსის ,,ვკითხულობთ რუსთაველს” დასკვნითი ტურის ფარგლებში, კონკურსის საპატიო ჟიურის წევრებმა 13 სკოლის გამარჯვებული მოსწავლე გამოავლინა. სპმთპ-ის დიდუბე -ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის საავტორო პროექტი **,,ვკითხულობთ რუსთაველს”**

2002 წლიდან ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ოთხი წელია კონკურსში სპმთპ-ის პარტნიორი, სომხეთის სკოლის ,,მხითარ სებასტაცის” მოსწავლეებიც აქტიურად არიან ჩართულნი.
სპმთპ-ის სახელით, კონკურსში გამარჯვებული და მონაწილე მოსწავლეების სკოლებსა და მათ პედაგოგებს საპატიო სიგელები გადაეცათ.

- მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა სპმთპ–ის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, პოეტ რომან ზუკაკიშვილის ლექსების კრებულის "მწვერვალები ნისლს მიღმა" პრეზენტაცია.
- მასწავლებელთა, მოსწავლეთა და სკოლის დირექციის წარმომადგენელთა ჩართულობით, დიდუბე-ჩუღრეთის რაიონული ორგანიზაციის ავტორობით, სპმთპ-მა განახორციელა პროექტი ,,ჩემი თბილისი”. პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 23 ოქტომბერს, სერგო ფარაჯანოვის ყოფილი საცხოვრებელი სახლის სივრცეში, ,,ჩაის სახლი“, ჩატარდა დასკვნითი ღონისძიება, ქ. თბილისის N24, N37 საჯარო სკოლებისა და სომხეთის ,,მხითარ სებასტაცის“ სასწავლო კომპლექსის მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობით.

ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება

ფინანსური სტაბილურობა ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. ფინანსური მდგრადობის მყარი პირობების შექმნა შესაძლებელია, წევრთა რაოდენობის ზრდითა და დონორებთან თანამშრომლობით.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით, 2014 წელს დავიწყეთ პროექტი **,,სპმთპ ადამიანის უფლებების კულტურის ამაღლებისათვის“.**

პროექტის ფარგლებში, პროფკავშირის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის მიზნით, განვახორციელეთ შემდეგი აქტივობები: შევქმენით ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა. ჩატარდა ორდღიანი ,,ტრენერთა ტრენინგი”, რაშიც მონაწილეობა მიიღო, 6 რაიონული ორგანიზაციის 20-მა მასწავლებელმა და პროფკავშირული სწავლებისათვის ჩატარდა 40 ტრენინგი 8 სტრუქტურულ ერთეულში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1192 პედაგოგმა. ასევე, ტელეკომპანია ,,მაესტროში” მომზადდა ორი 50-წუთიანი სატელევიზიო გადაცემა: ,,იცოდე შენი უფლებები“ და ,,სკოლა და საზოგადოებრივი გაერთიანებები“;

,,რადიო მაესტროში” გავიდა 10 ინტერაქტიული გადაცემა, პედაგოგთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ პრობლემებზე. ტელე და რაიდიო გადაცემებს
დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რაზედაც მეტყველებს ტელერეიტინგი და სოციალურ ქსელებში საზოგადოების აქტივობა. საგანმანათლებლო სისტემაში და-

საქმებულთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, მოვაწყეთ 6 მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის წევრებმა და განათლების სამინისტროს პასუხისმგებელმა პირებმა. მომზადდა პედაგოგთა პროფკავშირების 100- წლიანი ისტორიის საარქივო მასალები და მოეწყო გამოფენა ,,ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს".

პარტნიორ ორგანიზაციასთან, **,,ამერიკის მასწავლებელთა ფედერაციასთან" (AFT)** ერთად განხორციელდა საერთაშორისო პროექტი **,,მასწავლებლები ადამიანის უფლებების კულტურის ამაღლებისათვის",** რომლის ფარგლებში სპმთპ-ის მიერ ორგანიზებული იყო 4 ტრენინგ სემინარი და 36 ორგანაიზინგი 8 რაიონში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სემინარები თემაზე: ,,სოციალური დიალოგის მექანიზმების განვითარება", რაშიც მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროსა და თბილისის 4 რაიონის საჯარო სკოლების დირექტორებმა და პროფკავშირის წევრებმა. სემინარების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, მოწესრიგდა და ჩამოყალიბდა თანამშრომლობა დამსაქმებლებთან.

აშშ-ის შრომის საერთაშორისო **,,სოლიდარობის ცენტრის"** ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელშეწყობით, კასპის რაიონის საჯარო სკოლების წარმომადგენლებისთვის გაიმართა 2-დღიანი სემინარი, დაბა ბაკურიანში, თემაზე - ,,პროფკავშირებისა და დასაქმებულთა წარმომადგენლების როლი განათლების სისტემის გაუმჯობესებისათვის", რაშიც მონაწილეობა მიიღეს კასპის რაიონის საჯარო სკოლების დირექტორებმა და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა.

პროექტული საქმიანობა გრძელდება, რაც მოგვცემს ფართო შესაძლებლობებს წევრების საერთაშორისო ინიციატივებსა და აქტივობებში ჩართვისთვის.

ხელისუფლება და სპმთპ

სოციალური დიალოგის მექანიზმების გაძლიერება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი	

2006-2012 წლები	2014-2016 წლები
საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, განათლების სამინისტროსა და სპმთპ-ის შორის, 1998 წელს გაფორმებული დარგობრივი შეანხმება საჭიროებდა გადახედვას და ამ მიზნით, 2006 წელს სპმთპ–მა მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დარგობრივი ხელშეკრულების ახალი ვარიანტის შემუშავებისათვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კანონდარღვევით უგულებელყო დარგობრივი ხელშეკრულება და უარი განაცხადა სპმთპ–სთან კოლექტიური მოლაპარაკების წარმოებაზე.	2016 წელს განსაკუთრებით გავააქტიურეთ მუშაობა სოციალური დიალოგის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაციის კუთხით. 2016 წლამდე, ორგანიზაციის აღდგენის პროცესში, სპმთპ-მა არ ჩათვალა მიზანშეწონილად დაეყენებინა საკითხი დარგობრივი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. დღეისათვის, სპმთპ-ში გაერთიანებულია პედაგოგთა 60 %–ზე მეტი, რაც დარგობრივი შეთანხმების გაფორმების ერთ-ერთი საფუძველია.

2006 წლის 11 მაისს, სპმთპ-მა განათლების სამინისტროს უკანონო ქმედება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც დასრულდა 2008 წლის 29 მაისს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით განათლების სამინისტროს დაევალა კოლექტიური მოლაპარაკების წარმოება სპმთპ-სთან, დარგობრივი შეთანხმების დადების მიზნით. ურთიერთთანამშრომლობის აღდგენისა და სრულყოფის ნაცვლად, განათლების სამინისტრომ დაიწყო რეპრესიები სპმთპ-ის მიმართ, რაც გაგრძელდა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.	2016 წლის იანვარში სპმთპ-მა მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით, შემუშავდა დარგობრივი შეთანხმების პროექტი და დაიწყო მისი განხილვა. 2016 წლის 17 აგვისტოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა. განათლების სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმება გააღრმავებს თანამშრომლობას სოციალურ პარტნიორებს შორის, რაც იქნება გარანტია საგანმანათლებლო დაწესებუ ლებებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების გასაუმჯობესებლად.

2015 წლის 13 ივნისს, მომხდარი სტიქიის შედეგად, დაიმეწყრა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ–ის) პედაგოგთა სასწავლო–დასასვენებელი ცენტრი წყნეთში. შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა, ცენტრმა შეწყვიტა ფუნქციონირება. ჩვენი ორგანიზაციის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა ტერიტორიის გასუფთავება–ჩამოშლილი მიწისა და ტყის უზარმაზარი მასის გატანა და საცხოვრებელი კორპუსის დაცვის მიზნით, დარჩენილი ფერდობის გამაგრებითი სამუშაოების განხორციელება. სპმთპ-მა დახმარებისათვის მიმართა დედაქალაქის მერიას, რომელიც დაინტერესდა პრობლემით: ოპერატიულად შეისწავლა არსებული მდგომარეობა, შეადგინა პროექტი და დაიწყო მუშაობა, რაც დასრულდა 2016 წლის მარტში. პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა მილიონ ლარზე მეტი. გამაგრებითი კედლის სამუშაოების დასრულების შემდეგ, დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, მოასფალტდა სპმთპ–ის პედაგოგთა სასწავლო–დასასვენებელი ბაზის ეზოც.	,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” საქართველოს კანონის 7’4 მუხლის მოთხოვნების თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან სპმთპ-ის ჩამოერთვა, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, სოფელ საწირეში მდებარე პედაგოგთა დასასვენებელი-სატრენინგო სახლის საკუთრების უფლების აღიარების უფლება. სპმთპ-მა დახმარებისთვის მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ,,სახელემწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს”, რომელმაც მოამზადა პროექტი და წარუდგინა საქართველოს მთავრობას. 2016 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, N1906 განკარგულების საფუძველზე სპმთპ-ის გადაეცა სოფელ საწირეში მდებარე პედაგოგთა დასასვენებელი-სატრენინგო ბაზა.

სპმთპ–მა, ყველაზე რთულ მდგომარეობაში მყოფი ორგანიზაციის სტატუსიდან, გადაინაცვლა ევროპის მოწინავე ორგანიზაციების რიგებში:

2015 წელს ქ. ოტავაში მიმდინარე ,,განათლების ინტერნაციონალის (EI)“ მე–7 მსოფლიო ყრილობაზე, სპმთპ–მა წარადგინა სპეციალურად მომზადებული დოკუმენტური ფილმი ,,განვლილი გზა 2010–2014“ და წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ყრილობის დელეგატებს გააცნო სპმთპ–ის საქმიანობა.

2014-2016 წლებში, ETUCE-ETUI–ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში, სპმთპ–ის მიერ წარმოდგენილი იყო სპმთპ-ის ხედვები და მიდგომები უწყვეტი განათლების მნიშვნელოვან კომპონენტთან– საქართველოში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. სპმთპ აქტიურად მონაწილეობს ევროპული პროფკავშირების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და წარადგენს მოხსენებებს თემებზე: ,, პროფესიული განათლების დარგში დასაქმებულთა კომპეტენციები და პროფესიული განვითარება ევროპის ქვეყნებში”, ,,საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმები და გამოწვევები”, ,,გენდერული თანასწორობა” და ,,ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პროფკავშირების განვითარების სტრატეგიები”.

მიმდინარე წლის 28-30 სექტემბერს, საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა **დანიის მასწავლებელთა პროფკავშირის (GL)** წარმომადგენლობა.დაიგეგმა პარტნიორობის განმსაზღვრელი ღონისძიებები. საქართველოს საჯარო სკოლების გაცნობის მიზნით, დელეგაციას უმასპინძლა ქ. თბილისი N 1 ექსპერიმენტულმა და N 98 საჯარო სკოლებმა. პროექტი ითვალისწინებს, პედაგოგებისა და მოსწავლეების ჩართულობას სკოლის მართვაში, სკოლების დემოკრატიული მმართველობის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვასა და დანიის კოლეგა-პედაგოგების ფასილიტაციით, დანიის გამოცდილების გაზიარებას.

დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში:

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ცალკეული დამსაქმებლების მხრიდან პროფკავშირულ მუშაობაში ჩარევის მცდელობას, რაც ძირითადად გამოწვეულია მოქმედი კანონმდებლობის უგულებელყოფით;

პრობლემად რჩება პედაგოგთა დამოკიდებულება პროფკავშირის, როგორც ინსტიტუციის მიმართ.

ზოგიერთი დასაქმებული პროფკავშირს ხედავს იგივე ჭრილში, როგორიც ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს. პროფკავშირისგან ითხოვენ მხოლოდ ექსკურსიებს, შეღავათიან ფასებში საგზურებს და სხვა;

ქვეყანაში არის დაბალი სამოქალაქო ცნობიერება, სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბების პროცესშია.

პრობლემაა დასაქმებულთა პიროვნული თავისუფლება, მათ ჯერ კიდევ არ იციან თავიანთი კანონმდებლობით აღიარებული უფლებები.

ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პედაგოგი დაიცავს თავის შრომით, სოციალურ ინტერესებს და გააძლიერებს პროფკავშირულ ორგანიზაციას

UNESCO/ILO-ს ,,მასწავლებელთა სტატუსის შესახებ" 1966 წლის რეკომენდაციის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, UNESCO/ILO/UNICEF/EI/UNDP-ის ხელმძღვანელებმა, 2016 წლის მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ერთობლივ გზავნილი გამოაქვეყნეს.

,, ჩვენ ყოველ წელს, მსოფლიო მასშტაბით, მასწავლებელთა ფასდაუდებელ წვლილს, მასწავლებელთა საერთაშორისო დღით აღვნიშნავთ. ისინი კი ყოველ დღე, წლიდან წლამდე, თავდაუზოგავად ემსახურებიან მოსწავლეებს და მიუძღვებიან მათ ცოდნის სამყაროში, ეხმარებიან აღმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები. შედეგად, მასწავლებლები არა მარტო მილიონობით მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს ემსახურებიან, არამედ ქმნიან ახალ მსოფლიოს.

,,მდგრადი განვითარების 2030 წლის'' დღის წესრიგში განათლება და განვითარება მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. აღსანიშნავია, რომ, ,,მდგრადი განვითარების" N-4 მიზნით მსოფლიო ლიდერები შეთანხმდნენ - ,,უზრუნველყონ ინკლუზიური და თანასწორი განათლება, უწყვეტი სწავლის შესაძლებლობა ყველასათვის".

ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია კვალიფიციური მასწავლებლის ხელშეწყობის გარეშე და მათ უნდა მივცეთ შესაძლებლობა გახდნენ საგანმანათლებლო ცვლილებების აქტორები, რადგან მათ ძალუძთ შეცვალონ მოსწავლეების ცხოვრება უკეთესობისაკენ.

აუცილებელია მოქმედება, იმისთვის, რომ 2030 წლისათვის განათლება ხელმისაწვდომი გახდეს ყველaსათვის; დაწყებითი განათლების უზრუნველსაყოფად საჭიროა 24.4 მილონზე მეტი მასწავლებლის, ხოლო საშუალო განათლებაში უფრო მეტი, 44.4 მილიონი, მასწავლებლის მოზიდვა; როგორ უნდა მოვიზიდოთ მასწავლებლები და გავხადოთ მათი პროფესია მიმზიდველი და არსებითი მსოფლიოს მასშტაბით, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ მასწავლებელი მისი ღვაწლის დაფასების ნაკლებობას განიცდის, კვალიფიკაციის ამაღლების და ხელფასების ზრდის საჭიროება დგას დღის წესრიგში. ჯერ კიდევ, ბევრი მასწავლებლის ხელფასი და შრომითი ხელშეკრულებები არასახარბიელოა. მათ ცხოვრება რთულ პირობებში უწევთ, ესაჭიროებათ შესაფერისი პროფესიაში შესვლის ტრენინგები, მუდმივი პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა. მასწავლებლები კვლავ ხშირად ხდებიან დისკრიმინაციისა და უფრო მეტიც, ძალადობრივი თავდასხმის მსხვერპლნი.

მასწავლებლობა მიმზიდველი და არჩევითი პროფესია იქნებოდა, თუ მასწავლებლის შრომა, რასაც ჩვენი ბავშვებისათვის ხარჯავს, დაფასებული იქნებოდა და, თუ პროფესიული სტატუსი აღიარებული იქნება ჩვენი მომავლის უზრუნველსაყოფად. ამისთვის, მასწავლებლები უნდა ვუზრუნველყოთ საჭირო, ტრენინგებითა და მუდმივი განვითარებით. უნდა გამოვხატოთ მათი მხარდაჭერა ბავშვების განათლებაში მათი როლის ამაღლებით და ამისათვის, ყველა კუთხეში,

ყველაზე ღარიბი და შორეული, კრიზისში მყოფი თემებიდან და ქვეყნებიდან, ერთობლივად დავიწყოთ მუშაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლები უნდა აღვჭურვოთ შესაბამისი საჭირო ხელსაწყოებით, რაც მათ ფასდაუდებელ შრომას ესაჭიროება, უნდა განხორციელდეს მათი დაცვის პოლიტიკა, მათი სტატუსის ამაღლება, დავუთმოთ მათ ადგილი და მივანიჭოთ როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რაც ყველა დონეზე, განათლების სისტემაში მიმდინარე ეფექტური ცვლილებების გარანტიაა.

სწორედ, 50 წლის წინ 1966 წლის UNESCO/ILO-ს რეკომენდაციებით განისაზღვა მასწავლებლის სტატუსის ძირითადი პრინციპები, პირველი საერთაშორისო სტანდარტების ინსტრუმენტით. მას შემდეგ, ჩვენ მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ მასწავლებელთა შეფასების კუთხით, თუმცა დღესაც ბევრია გასაკეთებელი.

2016 წელს, მასწავლებელთა საერთაშორისო დღე ეძღვნებათ მათ. გვსურს გამოვხატოთ თანადგომა და მისწრაფება, რომ გავაორმაგოთ ჩვენი ძალისხმევა მსოფლიოში ყველა მასწავლებლისათვის, ასევე, მათი მოსწავლეებისთვის, რომელთაც ისინი ემსახურებენ”.

ირინა ბოკოვა,
USESCO-ს გენერალური დირექტორი
გაი რაიდერი,
ILO-ს გენერალური დირექტორი
ანტონი ლეიკი,
UNISEF -ის აღმასრულებელი დირექტორი
ჰელენ ლარკი,
UNDP-ის ადმინისტრატორი
ფრედ ვან ლოუვენი, განათლების ინტერნაციონალის (EI) გენერალური მდივანი.

მასწავლებელთა დაფასება, მათი სტატუსის ამაღლებისათვის

მდგრადი განვითარების მიზნები

www.Worldteachersday.org
www.educator.ge

United Nations Educational, Scientific and Cultural Organization

International Labour Organization

Education International
განათლების ინტერნაციონალი

EUROPEAN TRADE UNION COMMITTEE FOR EDUCATION
ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტი

TEACHERS for EDUCATION 2030